СОСТАВЫ КОМАНД НА 11 АПРЕЛЯ

## ЦСК МО (Москва)

Старший тренер—Г. Пинаичев.
Капитан—А. Башашкин.

1
Б. Разинский

2 А. Порхунов — 3 А. Башашкин — 4 М. Перевалов

5 А. Гришин — 6 А. Петров

В. Рыжков — Ю. Беляев

7 Г. Апухтин — 8 В. Бузунов — 9 — 10 — 11 В. Емышев

А. Чкуасели 11 — А. Гогоберидзе 10 — 9 — 8 — Б. Хасая 7

Ш. Яманидзе — К. Гагнидзе

В. Рамишвили — А. Котрикадзе

6 — 5

Г. Хочолава 4 — Н. Дзяпшипа 3 — В. Элошвили 2

С. Котрикадзе
1

Капитан—А. Гогоберидзе.
Старший тренер—Г. Джеджелава.

## „ДИНАМО" (Тбилиси)

О возможных изменениях в составах команд слушайте по радио.

ფასი 50 კაპ. Цена 50 коп.

Зак. 363. Тираж 8.000. УЭ 00496.

Стадион



# «ДИНАМО»

თბილისის „დინამოს" სტადიონი

11
აპრილი
АПРЕЛЯ

# Футбол
ТБИЛИСИ · 1957 ·

„დინამო" (თბილისი) — ცსკ მო (მოსკოვი)

„ДИНАМО" (Тбилиси) — ЦСК МО (Москва)

თამაშის დასაწყისი
Начало игры в 17.30



სსრ კავშირის პირველობა („ა" კლასი)
Первенство СССР (класс „А")

## ცსკ მო (მოსკოვი)—„დინამო“ (თბილისი)

ჩვენი ქვეყნის XIX ჩემპიონატი ფეხბურთში თავის უფლებებში შევიდა. ბრძოლაში ჩაება „ა“ და „ბ“ კლასის თითქმის ყველა გუნდი, გათამაშების ცხრილში ჩაწერილია პირველი შედეგები. ჯერ კიდევ ნაადრევია ლაპარაკი იმაზე თუ ვინ იქნება საბჭოთა კავშირის 1957 წლის ჩემპიონი, ვინ გავა და ვინ შემოვა „ა“ კლასში, მაგრამ აქვე თამამად შეიძლება ითქვას რომ ფეხბურთის ახალი სეზონი მრავალფეროვანი და მიმზიდველი იქნება.

საკავშირო ჩემპიონატში მონაწილე სპორტსმენთა თორმეტი კოლექტივიდან ოთხმა—მოსკოვის „სპარტაკმა“, ლენინგრადის „ზენიტმა“, კიშინიოვის „ბურევესტნიკმა“ და თბილისის „დინამომ“ ორ-ორი შეხვედრა გამართა, დანარჩენებმა—თითო. შეგროვილ ქულათა მიხედვით ყველაზე უკეთესი მდგომარეობა გასული წლის ჩემპიონს მოსკოვის „სპარტაკს“ აქვს. სტარტმა ვერ გაუმართლა თბილისის დინამოელებს. თუმცა დაუმსახურებლად, მაგრამ ორი შეხვედრიდან მათ ორივე წააგეს.

დღეს, 11 აპრილს იწყება საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტური. მატჩები შედგება კუიბიშევში, სტალინოში, თბილისში, ოდესაში, კიშინიოვსა და კიევში. თბილისის დინამოელები თავიანთ მოედანზე მიიღებენ სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის ფეხბურთელებს (ყოფილი ცდსა). ეს მატჩი უთუოდ დიდ სპორტულ ინტერესს იწვევს, თუნდაც იმიტომ რომ დინამოელებმა ხომ ბოლოს და ბოლოს თავი უნდა დააღწიონ წარუმატებლობას, ხოლო არმიელებს გათამაშების ცხრილში კიდევ ორი ქულის ჩაწერა სურთ.

ცსკ მო-ს გუნდის სპორტული მიღწევები ფართოდ არის ცნობილი. იგი ჩვენი ქვეყნის ხუთგზის ჩემპიონია და სსრ კავშირის თასის ოთხგზის მფლობელი. მიმდინარე სასპორტო სეზონს არმიელი ფეხბურთელები მზადყოფნით შეხვდნენ და კარგი სტარტი აიღეს. ცსკ მო-ს გუნდმა დაამარცხა კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ ანგარიშით 3:1. გუნდის შემადგენლობიდან კვლავ გამოირჩევა მცველთა ხაზი.

თვალი გადავავლოთ ცსკ მო-ს და თბილისის „დინამოს“ განვლილ შეხვედრათა შედეგებს. აი როგორ გამოიყურება იგი:

| ცსკ მო — „დინამო“<br>მოსკოვი თბილისი | I წრე | II წრე |
|---|---|---|
| 1936 წ. (შემოდგ.) | 0:4 | — |
| 1937 წ. | 2:5 | 0:1 |
| 1938 წ. | 3:0 | — |
| 1939 წ. | 1:2 | 4:5 |
| 1940 წ. | 3:3 | 0:2 |
| 1945 წ. | 4:2 | 3:1 |
| 1946 წ. | 2:0 | 1:1 |
| 1947 წ. | 1:0 | 2:2 |
| 1948 წ. | 0:1 | 4:2 |
| 1949 წ. | 2:0 | 6:1 |
| 1950 წ. | 3:1 | 2:2 |
| 1951 წ. | 0:2 | 3:1 |
| 1954 წ. | 1:1 | 6:1 |
| 1955 წ. | 3:0 | 2:0 |
| 1956 წ. | 1:1 | 3:2 |

14 მოგება, 6 ფრე, 8 წაგება ბურთების საერთო შეფარდებით 62:43—ასეთია არმიელთა წარმატება თბილისის დინამოელებთან გამართულ 28 მატჩში.

თუ როგორი იქნება 29-ე მატჩის შედეგი, ამას ცხადყოფს დღევანდელი 90-წუთიანი ბრძოლა.

ფეხბურთში სსრ კავშირის 1957 წ. პირველობის გათამაშების ცხრილი („ა“ კლასი)—Таблица розыгрыша первенства СССР по футболу 1957 г. (класс „А“).

| №№ რიგ. | გუნდები Команды | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | გამარჯ. Победы | ფრე Ничьи | დამარც. Пораж. | ბურთ. Мячи | ქულები Очки | ადგილი Место |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | „სპარტაკი“ (მოსკოვი)<br>„Спартак“ (Москва) | | | | | | | 0:0 | 2:1 | | | | | 1 | 1 | 0 | 2:1 | 3 | I |
| 2 | „დინამო“ (მოსკოვი)<br>„Динамо“ (Москва) | | | | | | | | 2:1 | | | | | 1 | 0 | 0 | 2:1 | 2 | V |
| 3 | ცსკ მო (მოსკოვი)<br>ЦСК МО (Москва) | | | | | | | | | | | | 3:1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | II |
| 4 | „დინამო“ (კიევი)<br>„Динамо“ (Киев) | | | | | | | | | | 0:1 | | | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 | XI |
| 5 | „ტორპედო“ (მოსკოვი)<br>„Торпедо“ (Москва) | | | | | | 2:0 | | | | | | | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | III-IV |
| 6 | „ბურევესტნიკი“ (კიშინიოვი)<br>„Буревестник“ (Кишинев) | | | | | 0:2 | | | | 0:1 | | | | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 | XII |
| 7 | „შახტიორი“ (სტალინო)<br>„Шахтер“ (Сталино) | 0:0 | | | | | | | | | | | | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 | VIII |
| 8 | „დინამო“ (თბილისი)<br>„Динамо“ (Тбилиси) | 1:2 | 1:2 | | | | | | | | | | | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 | IX |
| 9 | „ზენიტი“ (ლენინგრადი)<br>„Зенит“ (Ленинград) | | | | | | 1:0 | | | | | 0:2 | | 1 | 0 | 1 | 1:2 | 2 | VII |
| 10 | „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)<br>„Локомотив“ (Москва) | | | | 1:0 | | | | | | | | | 1 | 0 | 0 | 1:0 | 2 | VI |
| 11 | „სპარტაკი“ (მინსკი)<br>„Спартак“ (Минск) | | | | | | | | | 2:0 | | | | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | III-IV |
| 12 | „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)<br>„Кр. Советов“ (Куйбышев) | | | 1:3 | | | | | | | | | | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 | X |

გუნდების მდგომარეობა 11 აპრილისათვის.

Положение команд на 11 апреля.